

მშობლის სამახსოვრო მზიურის ნიჭიერ ბავშვებთან მუშაობის პროგრამის შესახებ

თუ თქვენი შვილი სწავლობს თბილისის რომელიმე სკოლის VI, V ან IV კლასში (გამონაკლის შემთხვევებში III ან VII კლასში) და მიგანიათ, რომ მას აქვს გამორჩეული ინტერესი და მიდრეკილება მათემატიკისადმი, ეხალისება და ეადვილება მათემატიკურ-ლოგიკური ამოცანებისა და თავსატეხების ამოხსნა და გინდათ, რომ იგი მოხვდეს მისი ნიჭის თვითრეალიზაციისა და სრულყოფის სათანადო გარემოში, ასეთ შემთხვევაში მზიურის ნიჭიერ ბავშვებთან მუშაობის პროგრამა თქვენთვისაა!

კითხვა - რა არის მზიურის ნიჭიერ ბავშვებთან მუშაობის პროგრამა?

პასუხი - გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრ მზიურში მოქმედებს ნიჭიერ ბავშვებთან მუშაობის პროგრამა, რომლის ფარგლებში ხდება გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვების სელექცია და სპეციალური ჯგუფების დაკომპლექტება. ამ ჯგუფების პროგრამა ითვალისწინებს მათემატიკურ-ლოგიკური ამოცანების უნარის განვითარებას, დაპროგრამებისა და ალგორითმიზაციის საფუძვლების გაღრმავებულ შესწავლას.

კითხვა - რა არის ამ პროგრამის მიზანი?

პასუხი - ამ პროგრამის მთავარი მიზანია ინფორმატიკის სფეროში გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვების სელექცია (ძირითადად V-VI კლასის ასაკში) და შემდგომი მომზადება (ძირითადად სკოლის დამთავრებამდე). ეს ჯგუფები ერთგვარი "ტალანტების ფაბრიკაა", რომლის საბოლოო "პროდუქტები" არიან საერთაშორისო მასშტაბით სრულიად კონკურენტუნარიანი სკოლადამთავრებული ახალგაზრდები, რომლებიც მზად არიან სწავლა გააგრძელონ მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში და, მომავალშიც, საკუთარი ადგილი დაიმკვიდრონ მეცნიერ-მკვლევართა და უმაღლესი დონის მენეჯერთა შორის.

კითხვა - რა არის ამ პროგრამის შედეგი?

პასუხი - ჩვენთან სწავლის განმავლობაში ეს მოსწავლეები მონაწილეობენ ხოლმე ინფორმატიკისა და მათემატიკის სხვადასხვა რანგის (მათ შორის საერთაშორისო) ოლიმპიადებსა და კონკურსებში და, ჩვეულებისამებრ, იმარჯვებენ კიდევც.

ჩვენი მოსწავლეები მუდმივად არიან საქართველოს მოსწავლეთა ინფორმატიკის ეროვნული ოლიმპიადის გამარჯვებულთა შორის და ხშირად ხვდებიან ქვეყნის ნაკრებში. მათ მონაპოვარში უამრავი მედალი და სხვადასხვა ხარისხის დიპლომაია. მათ შორის ყველაზე მაღალი ჯილდოებია ინფორმატიკის მსოფლიო ოლიმპიადის 6 ოქროს, 6 ვერცხლისა და 24 ბრინჯაოს მედალი.

ჩვენი ყოფილი მოსწავლეები, დღეს უკვე სტუდენტები, წარმატებით სწავლობენ ჩვენი ქვეყნისა თუ საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში. ყოფილ მზიურელებს საკვანძო პოსტები უჭირავთ საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში მოღვაწე ნამყვან ქართულ კომპანიებში. ბევრი მათგანი მუშაობს უცხოურ ტექნოლოგიურ კომპანიებში.

კითხვა - რაში მდგომარეობს პროგრამის არსი?

პასუხი - ნიჭიერ ბავშვებთან მუშაობის პროგრამა მუდმივად ვითარდება და დღეისათვის იგი ხუთი ძირითადი საფეხურისაგან შედგება:

1. მზიურის მათემატიკური ინტერნეტშეჯიბრი
2. მათემატიკური კონკურსი „იმედი ხვალის“
3. ლოგიკის სასწავლო კურსი IV-VI კლასელებისთვის
4. დანყებითი ორნლიანი კურსი
5. საოლიმპიადო ჯგუფები და პროგრამირების სკოლა

კითხვა - რა არის მათემატიკური ინტერნეტშეჯიბრი?

პასუხი - მზიურის მათემატიკური ინტერნეტშეჯიბრი მთელი სასწავლო წლის განმავლობაში მიმდინარეობს დაუსწრებელ ტურებად. მონაწილეობენ III-VI კლასის მოსწავლეები თბილისისა და სხვა ქალაქების სკოლებიდან. ყოველი დაუსწრებელი ტურისთვის საიტზე (<https://conkurs.mziuri.ge/>), განყოფილებაში მიმდინარე ტური გამოიკიდება ხოლმე 5 მათემატიკურ-ლოგიკური ტიპის ამოცანა, რომლებიც მოსწავლეებმა უნდა ამოხსნან და ამოხსნები ელექტრონული დოკუმენტის სახით გამოაგზავნონ მითითებულ ვადაში. ამის შემდეგ ეს ამოხსნები განიხილება, შეფასდება და გამოიკიდება გავლილი ტურის ანალიზი (ამოცანების ამოხსნები, შეფასების სქემა, მოსწავლეთა შედეგები და მათი კომენტარები). ინტერნეტშეჯიბრი ერთგვარი დისტანციური სწავლების სკოლაა, რომლის მიზანია ნიჭიერი ბავშვების შერჩევა.

კითხვა - რა არის მათემატიკური კონკურსი „იმედი ხვალის“?

კონკურსი იმართება სასწავლო წლის ბოლოს. მასში მონაწილეობას იღებენ III-VI კლასების მოსწავლეები თბილისის სკოლებიდან. ეს კონკურსი გარკვეულწილად ინტერნეტშეჯიბრის გაგრძელება და მისი ერთგვარი „დასკვნითი ნაწილია“. კონკურსი შედგება პირველი და მეორე ტურებისა და გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიისაგან.

კითხვა - რა არის დანყებითი ორნლიანი კურსი?

პასუხი - დანყებითი ორწლიანი კურსის პროგრამაში მოსახვედრად თბილისის სკოლების V და VI (იშვითად IV და VIII) კლასის მოსწავლეებმა აუცილებლად უნდა გაიარონ შესარჩევი კონკურსი, რომელიც სასწავლო წლის დასაწყისში იმართება. კონკურსის შედეგების მიხედვით კომპლექტდება სასწავლო ჯგუფები, რომლებიც ორი წლის განმავლობაში სწავლობენ ჩვეულებრივი და მსუბუქი პროგრამით. კვირაში აქვთ სამი მეცადინეობა, თითოეული მეცადინეობის ხანგრძლივობა 1 სთ 30 წთ. ამ მეცადინეობებზე სწავლობენ სამ სხვადასხვა დისციპლინას: დაპროგრამების საფუძვლებს, მათემატიკურ-ლოგიკური ამოცანების ამოხსნას და ალგორითმების საფუძვლებს. სწავლების პროგრამა საკმაოდ დატვირთულია საშინაო დავალებებითა და საკონტროლო წერებით. საკონტროლო წერებისა და სხვადასხვა კონკურსებში მონაწილეობის შედეგების მიხედვით ხდება მოსწავლეთა რეგულარული რეიტინგიზაცია, რომელიც საშუალებას გვაძლევს ორწლიანი კურსის დასრულების შემდეგ დაავაფორმირთ ე.წ. ოლიმპიური და პროგრამირების სკოლები.

რაც ეხება ლოგიკის სასწავლო კურსს, ის განიხილება როგორც ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპი შემდეგი სასწავლო წლისათვის ჩვეულებრივი პროგრამით სწავლისათვის.

კითხვა - რა არის საოლიმპიადო და დაპროგრამების ჯგუფები?

პასუხი - საოლიმპიადო და დაპროგრამების ჯგუფების მოსწავლეები გაღრმავებულად ეუფლებიან ალგორითმიზაციის საფუძვლებს, საოლიმპიადო ამოცანების ამოხსნის მეთოდებსა და დაპროგრამების ხელოვნებას. პროგრამისტთა სკოლის მოსწავლეები ეუფლებიან დაპროგრამების თანამედროვე ინსტრუმენტებს - C++, C#, Java, Python, ვებგვერდების დაპროგრამებისა და კომპიუტერული თამაშების შექმნის ტექნოლოგიას. ამ კურსის პროგრამა საკმაოდ რთულია და მხოლოდ განსაკუთრებული ნიჭისა და სიბეჯითის მქონე მოსწავლეებისთვის არის დაძლევადი. სწორედ ამ ჯგუფების მოსწავლეები აღწევენ წარმატებებს ინფორმატიკის ოლიმპიადებსა და კონფერენციებში.

კითხვა - რა მნიშვნელობა აქვს ოლიმპიადებში მიღწეულ წარმატებებს?

პასუხი - პირველი და ყველაზე მთავარი - ოლიმპიადებში წარმატების მისაღწევად სათანადო ცოდნასთან ერთად აუცილებელია უნარების მთელი კომპლექტის გამოუმუშავება. მიზანსწრაფულობის, ბრძოლისუნარიანობის, კონცენტრირების უნარის, ამოცანის გადაწყვეტის სტრატეგიული და პრაქტიკული გზების ძიების გამოცდილებისა და სხვა ზოგადი ფსიქოლოგიური და ანალიტიკური უნარების გარეშე ოლიმპიადებზე წარმატების მიღწევა შეუძლებელია. ამ უნარებისა და სათანადო ცოდნის შექმნა კი მოსწავლისათვის შემდგომი კარიერული წარმატების დიდი გარანტიაა.

მეორე - ოლიმპიადებში მოპოვებული მედლები და დიპლომები მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ და ძვირადღირებულ უნივერსიტეტებში სწავლისათვის ფინანსური დახმარების მოპოვების აუცილებელი (და ხშირ შემთხვევაში ერთადერთი) პირობაა.

მესამე - ოლიმპიადებში მიღწეული წარმატებებისთვის მედლებსა და დიპლომებთან ერთად, როგორც წესი სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებისაგან გაიცემა ფულადი პრიზები და სტიპენდიები. ამ სტიპენდიების რაოდენობა და მოცულობა (განსაკუთრებით ბოლო წლებში) განუზრევლად იზრდება. სტიპენდიებისა და სხვა პრიზების მოპოვება მოსწავლისათვის ერთი მხრივ საკმაოდ კარგი მატერიალური სტიმულია, მეორეს მხრივ კი იმ ორბიტაზე მოხვედრის საშუალებაა, რომელიც საზოგადოების (მათ შორის ხელისუფლების) ყურადღების <https://conkurs.mziuri.ge/past.php> ცენტრშია და საიდანაც ქვეყნის მომავალი ლიდერები ჩნდებიან.

მეოთხე - არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ოლიმპიადებში აქტიური მონაწილეობისას ბავშვი ხვდება საერთო ინტერესის მქონე თანატოლთა წრეში და კონკურენციით დანყებული მათი ურთიერთობა მომავალში ძალიან ხშირად წარმატებული სპეციალისტების საქმიან ურთიერთობებში და არც თუ იშვიათად მეგობრობაშიც გადაიზრდება ხოლმე.

კითხვა - როგორია მზიურში სწავლების საფასური?

პასუხი - ინტერნეტშეჯიბრში და კონკურსში „იმედი ხვალის“ მონაწილეობა უფასოა. ასევე უფასოა შესარჩევი კონკურსი. ორწლიანი კურსი, საოლიმპიადო და დაპროგრამების ჯგუფები, რა თქმა უნდა, ფასიანია, მაგრამ გადახდისუნარო ოჯახებისათვის მოქმედებს ფინანსური დახმარების მოქნილი სისტემა, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ შეზღუდულია, საშუალებას გვაძლევს, არ დავკარგოთ არც ერთი ნიჭიერი ბავშვი. უკანასკნელ წლებში მზიურის წარმატებული კურსდამთავრებულების შემოწირულობები ფინანსური დახმარების გაფართოების შესაძლებლობას გვაძლევს.

კითხვა - როგორ შეიძლება მოემზადოს ბავშვი შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად?

პასუხი - ინტერნეტშეჯიბრის დაუსრულებელ ტურებში და დასრულებულ მათემატიკურ კონკურსში „იმედი ხვალის“ მონაწილეობა საუკეთესო გამოცდილებაა მზიურის ორწლიანი კურსის ჯგუფებში შესარჩევ კონკურსში წარმატების მისაღწევად. შესარჩევ კონკურსზე მონაწილეობის ამოსასხნელად ეძლევათ 5 ამოცანა და დრო - 2 საათი. საკონკურსო ამოცანები ინტერნეტშეჯიბრისა და «იმედი ხვალის» ამოცანების ანალოგიურია. ბევრი ასეთი ამოცანა ამოხსნებით შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტშეჯიბრის გვერდზე განყოფილებაში [გაკვლილი ტურები](#).